ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

№ 38

(64) 1997

# დასურათებული კროსვორდი



**თარაზულად:** 4. იუმორის მოყვარული კაცი (ასეთები დიდი წარმატებით სარგებლობენ ქალებში); 7. ფართოპლანიანი სატრფიალო ლიტერატურული ქმნილება ანუ რა? 10. *იხილეთ ფოტო;* 12. ჰიუგოს შემოქმედების ულამაზესი ქალი; 13. *იხილეთ ფოტო;* 15. პოლიკარპე კაკაბაძის პიესის, „ყვარყვარე თუთაბერის“ პერსონაჟი; 16. რუსი მწერალი, მშვენიერი ოლესიას შემქმნელი; 17. დაშინება-დამუქრების შორისდებული; 19. ბიბლიურ თქმულებათა მშვენიერი ყმაწვილი; 21. XIX საუკუნის ფრანგი მწერალი ეჟენი... ავტორი „პარიზული საიდუმლოებებისა“; 23. ქალი, რომელსაც ერთ სიმღერაში გათხოვებას ურჩევენ; 24. მისტერ ნორისი, ცნობილი კინობოევიკი; 25. ერთ-ერთი უახლოესი მღედრი; 26. ქართული კინოს პერსონაჟი, რომელიც სიმინდებში „ბუღასავით ეძგერა“ კომკავშირელ გოგონას; 30. მშვენიერი ქართველი მევიოლინე და დირიჟორი; 32. ბალახით დაფარული სივრცე; 33. კალმანის ოპერეტა მშვენიერი ქალის შესახებ; 34. *იხილეთ ფოტო;* 36. როგორი შეიძლება არსებობდეს ლიტერატურა? 37. სარკინიგზო ტრანსპორტის იზოლირებული სივრცე; 38. რუსული საბალეტო სკოლის დიდებული წარმომადგენელი; 41. *იხილეთ ფოტო;* 43. რა არ მოეთხოვება მაინცა და მაინც ქალს? 46. *იხილეთ ფოტო;* 47. დასავლელქართველ ქალთა „შრომითი ვახტა“; 48. გურამ ფანჯიკიძის ფანტასტიური რომანი;





46. უძველესი პროფესია



4. შარმი ანუ რა?

**შვეულად:** 1. მსოფლიო კინოს ეპიცენტრი; 2. სამხედრო პირი; 3. დედაქალაქს მოშორებული რეგიონი; 4. *იხილეთ ფოტო;* 5. შემოდგომის რა ცნება გვახსენებს მედეა ჯაფარიძეს? 6. საამო-ალმაფრენითი განწყობა; 8. ტირეების ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:

„ნინოწმინდა... ——— მეფეთა...
გალავანში – ჯამი აქაფებული;
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ – ვეფხვი დაქალებული...“

გიორგი ლეონიძე



13. უამური ბრძოლა

9. აბრეშუმის ძვ.ქართული სინონიმი; 11. წინააღმდეგობის გაწევის სახესხვაობა; 14. იტალიური და მსოფლიო კინოს განუმეორებელი დონ-ჟუანი; 18. უნგრელი პოეტი (ვინმე) პეტეფი; 20. სესილია თაყაიშვილის პერსონაჟი ფილმში „ნატვრის ხე“; 21. თბილისელ შეყვარებულთა გასასეირნებელი საზ.კვების ობიექტი მცხეთის სიახლოვეს; 22. როგორი ანეკდოტი არ უნდა მოყვე საზოგადოებაში? 27. იაპონური ორთაბრძოლის სახეობა; 28. კუდრაჭა გოგონების თამაშ-თამაშ გადაადგილება; 29. რა იჩენს ხოლმე თავს მიჯნურის სახეზე სატრფოს ხილვისას? 31. დავით კლდიაშვილის შემოქმედების განზოგადებული ტიპი; 35. რაიმეს შემადგენელი ნაწილი ზოგადად; 36. რას ვერ ეგუება ადამიანი და განსაკუთრებით ქართველი? (რას?); 38. მონარქის მემკვიდრე ზოგადად; 39. რუსეთის ერთ-ერთი სახელაღდგენილი ქალაქი; 40. ქალისსახელიანი ავიაკომპანია თბილისში; 42. ბატონი გოძიაშვილი, ამით ყველაფერი ნათქვამია; 44. რა გვარი იყო ვინმე ვილჰელმი, გერმანული კლასიკური ნაწარმოებიდან? 45. ცნობილი ბალახი ვაჟას შემოქმედებიდან;

10. რა არის ეს ადამიანისთვის





41. ვინ არიან?

## ჩვენს შესახებ უთქვამთ

**Приходит маленький мальчик домой и спрашивает:**
**– Папа, мне в школе сказали, что я – грузин. Это – правда?**
**– Да, сынок, правда.**
**– И ты тоже – грузин?**
**– Да, сынок, я тоже – грузин!**
**– И мама тоже – грузинка?**
**– Да, – грузинка.**
**– Дядя Гиви тоже – грузин?**
**– Нет, он „новый русский“.**

## ამბავი

ერთმა ოჯახმა კედლის აშენება გადაწყვიტა; წავიდა ქმარი „ბირჟაზე“ და იქიდან ორი სომეხი ხელოსანი მოიყვანა, თავად კი სამსახურში წავიდა.

ხელოსნებმა დაიწყეს მუშაობა; იქვე ოჯახის დიასახლისი ფუსფუსებდა.

შუა მუშაობისას, ერთმა ხელოსანმა კედელში დატოვებულ ნიშაში თავი გამოყო და მეორეს უთხრა: „– ხაზეინ ჰარურ ლარ ჩიტა (პატრონი 100 ლარს არ მოგვცემსო)“; მერე მეორემ გაყო იმავე ნიშაში თავი და შეიცხადა: – „ვონც ჩიტა?!“ (როგორ არ მოგვცემსო); –„ასუმემ, ჩიტა!“ (გეუბნები, არ მოგვცემს-მეთქი) – უპასუხა პირველმა. „ჩიტა უ კგნამ“ (არ მოგვცემს და წავალ) – გაბრაზდა მეორე.

ამგვარი დიალოგი კვლავაც განმეორდა და მალე ხელოსნებიც წავიდნენ სახლში ისე, რომ სამუშაო მეორე დღისთვის გადადეს.

ქმარი სახლში რომ დაბრუნდა და კედელი დაუმთავრებელი დახვდა, ცოლს უსაყვედურა – „რატომ არ დაამთავრებინეო?!“

– „აბა, როგორ დაამთავრებდნენ, შენი ჭირიმე – თავი იმართლა ცოლმა – ეგ შენი ხელოსნები მთელი დღე ერთმანეთს „ჭიტას“ ეთამაშებოდნენ?!“

*ვარკეთილი–3-ის პირველი მ/რ 35-ე კორპუსის მობინადრენი დაბადების დღეს ულოცავენ თეა ელერდაშვილს და უსურვებენ დიდ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საქმიანობაში!*

მე-3 გვერდზე იხილეთ გიგანტური კროს—კუბი!

## მინი კროს-კუბი



**1.** უტვინო ადამიანის ერთ-ერთი სალანძღავი სიტყვა; **2.** ჩეხი კომპოზიტორი, რძის ერთი პროდუქტის „მოყვარული“ (რუს.კავშ.); **3.** დაუდეგარი ბავშვის მოსახსენიებელი სიტყვა; **4.** მულტფილმისეული მომღერლების ქალაქი გერმანიაში; **5.** კინო-ფოტო აპარატების დასამაგრებელი საშუალება; **6.** საქართველოს ისტორიული ძეგლი; **7.** ცუდი მკითხველისათვის დამახასიათებელი კითხვის სახეობა; **8.** ქალაქი-პორტი ლიტვაში; **9.** საქართველოს რაიონული ცენტრი; **10.** რუსი მეიგავე; **11.** ელექტროძრავის შემადგენელი ნაწილი; **12.** სოფელი ყვარლის რაიონში; **13.** ბოსტნეული კულტურა; **14.** ამაღლებული ადგილი ეკლესიაში; **15.** თანაპარტიელთა თავშეყრის სახესხვაობა; **16.** იგივეა, რაც თანადგომა, ხელშეწყობა; **17.** როგორი გემები იყო შუა საუკუნეებში? (როგორი?) **18.** ვისიმე ნამდვილი სახელი სხვის მიერ ფსევდონიმად გამოყენებული.

## «სინათლე მათს ფანჯრებში»

ჩვენ არაერთხელ დავიჩივლეთ ელექტროენერგიის (თითქმის) არქონაზე და ეგებ თავიც მოვაბეზრეთ ვინმეს, მაგრამ ერთხელაც უნდა შევეხოთ ამ საკითხს, რადგან, როგორც იქნა, დავადგინეთ, თუ საიდან მიეწოდებათ „მათ“ ელექტროენერგია:

თურმე, ნუ იტყვით და, ჩვენს ქალაქში შესაძლებელი ყოფილა არატრადიციული გზებით ელექტროენერგიის ტრანსპორტირება შორ მანძილებზე, ოღონდ ეს მხოლოდ მათთვის კეთდება, ვისაც აქვს ან „ჩინი“, ან „სკამი“ ან რაღაც სხვა წარჩინება. თქვენ იტყვით – „შე ოჯახაშენებულო, ამხელა კომუნისტური ეპოქა გამოიარე და ეს „ჭეშმარიტება“ ახლა დაადგინეო?!“

ჰოდა, საქმეც მაგაშია, რომ ის ეპოქა გამოვიარე!

ადრე, რაიმე არაკანონიერი და „ბლატით“ მიღებული თუ გააჩნდა კაცს, იმას მაინც იქმდა, რომ „ნადავლს“ მალავდა, რადგან ეშინოდა პარტბილეთი ან რამე მისთანა არ დაედო „მათს“ ე.წ. მაგიდაზე...

ეს ადრე იყო... ახლა?

მთელი მიდამო ჩაბნელებულია, ხალხი ლამის არის ღამურებად იქცნენ და ამ დროს ყოველ კორპუსში ორი–სამი ბინა მაინცაა ისე გაჩახჩახებული, რომ ადამიანს ადამიანობას გაახსენებს. ...ეშინიათ და ერიდებათ კი არა და, მთელი საღამო და ღამე აივნებზეც უნთიათ შუქი („ღამურების“ დასაფრთხობად და გულის გასახეთქად) და დილამდე „ილიჩის ნათურების“ თანხლებით განაგრძობენ (ძილშიც კი!) იმაზე ფიქრს, თუ როგორ ებრძოლონ ცხოვრებაში არსებულ მანკიერებებს, რათა მეორე დღეს ჩვენ უზრუნველი და უშფოთველი ცხოვრება გვქონდეს.

აი, თურმე ამიტომაცაა „მათთვის“ შექმნილი ელექტროენერგიის ტრანსპორტირების „არატრადიციული“ მეთოდი, ანუ – ისევ და ისევ ჩვენზე და (...თქვენზეც!) ზრუნვით...

დიახ, ბატონო, ეს ყველაფერი კარგად გვესმის, მაგრამ ეგებ ჩემი ერთი პატარა (პა-ა-ა-ა-წაწა!) თხოვნა გაითვალისწინონ და ღამით მაინც ჩააქრონ სინათლე აივნებზე, ჰა?!

*P.S. ერთხელ სასტუმრო „აჭარაში“ ვიღაც იაპონელი დაუბინავებიათ და იმ იაპონელის ნომერში თურმე ონკანიდან წყალი წვეთავდა. უთმენია, უთმენია ამ იაპონელს და წასულა მორიგესთან და ონკანისა და წყლის ამბავი უთქვამს. მისთვის სასწრაფოდ გამოუცვლიათ ნომერი... მცირე ხანში ის იაპონელი ისევ გამოჩენილა სასტუმროს მორიგესთან შეწუხებული სახით; „რა იყო, ბატონო, მანდაც წვეთავსო წყალი?“ – უკითხავთ. „არა, ამ ნომერში წყალი არ წვეთავს, მაგრამ ის არ მასვენებს, რომ იმ პირველ ნომერში წყალი უაზროდ იღვრებაო...“ – უპასუხია იაპონელს.*

ჰოდა, იაპონიაზე ორიოდე წერილი მეორე გვერდზე იხილეთ, ბატონებო!

# იაპონელთა ფანტაზია

## იაპონელთა იუმორი

(იგონებს ილიუზიონისტი იგორ კიო)

იაპონიაში ჩვენი ცირკის გასტროლები ყოველთვის დიდი წარმატებით მიმდინარეობდა. კლოუნების ნომრები კი მაყურებელთა შორის არავითარ რეაქციას არ იწვევდა. და იცით, რატომ? – იმიტომ, რომ მათ ჩვენი ხუმრობა არ ესმით.

იაპონელებს ადამდაევასდროინდელი იუმორი აქვთ. ასე მაგალითად: იატაკზე ბურთულებს ყრიან, გოგონები ტრუსებს იხდიან და ამ საინტერესო ნივთებს „საინტერესო ადგილით“ იჭერენ. ვინც მეტს მეტს დაიჭერს, გამარჯვებულიც ისაა. ბიკინებიანი გოგონები ასეთ „შეჯიბრსაც“ მართავენ: ყინულოვანი წყლით სავსე გამჭვირვალე ტაშტებში სხდებიან და ის, ვინც ყველაზე დიდხანს გაძლებს, პრიზის მფლობელი ხდება...

აი, ასეთი „იუმორი“ იაპონელთა შორის ველურ აღტაცებას იწვევს.

## ყველაზე ძვირადღირებული ყავა



ტოკიოდან 120 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს პატარა რესტორან „აკანეია“ და მთელ იაპონიაშია ცნობილი იმით, რომ მისი მფლობელი კესირო ფუმაკოსი ერთ ფინჯან ყავაში 58 დოლარს ახდევინებს კლიენტებს. ყავა ძალზედ გემრიელი და ხარისხიანია და... სულ ეს არის. თუმცაღა კლიენტები აქ ყოველთვის ბევრია, რადგან რესტორნის მფლოდელის ჩანაფიქრი სწორი გამოდგა: ადამიანურ ამბიციურობას და ამაოებას საზღვარი არ გააჩნია, ამიტომაცაა, რომ ყოველი აქაური კლიენტი სიამაყით ამბობს ხოლმე – „აი, ერთხელ მე იაპონიაში კესირო ფუნაკოსისთან ყავა დავლიე... დიახ-დიახ, სწორედ ის ყავა 58 დოლარი რომ ღირს ერთი ფინჯანი“.

აღნიშნულ რესტორანში ერთი ფინჯანი ჩაი 2 დოლარი ღირს, თუმცა მცირე კალიბრის სნობებისათვის ესეც საამაყო და სატრაბახო რამ გახლავთ. რესტორნის მფლობელი ამ „მცირე კალიბრიანებს“ კიდევ ერთ დასაქადნ სიამოვნებას სთავაზობს, იგი მათ უფლებას აძლევს შეიხედონ იმ დარბაზში სადაც 58 დოლარიანი ყავა ისმევა.

## „ტამაგოჩი“

ბოლო დროს იაპონია ახალმა „ვირტუალურმა ციებ-ცხელებამ“ მოიცვა. ამჯერად ამომავალი მზის ქვეყნის მოქალაქეები ჯიბის ელექტრო სათამაშომ გადარია.

ახალი ვირტუალური სათამაშო ხუთიოდე წლის წინ გამოჩნდა და 17 დოლარი ღირდა. ერთი წლის განმავლობაში 350 ათასი ეკზემპლარი გაიყიდა; მომდევნო წელს კი იაპონიის მაღაზიებში ამ ქვეყნისათვის უჩვეულო მოვლენა დაფიქსირდა – გრძელი რიგები დადგა მაღაზიის კარებწინ სათამაშოს ხელში ჩასაგდებად.

მაინც რა არის ეს სათამაშო, ანუ „ტამაგოჩი“, როგორც მას იაპონელები უწოდებენ? ეს არის პატარა ელექტროხელსაწყო, რომელიც ფერადი პლასტიკატითაა დაფარული, ფორმით კვერცხს წააგავს და მინიატურული ეკრანი გააჩნია. ამ ეკრანზე ჩართვის შემდეგ რაღაც კოსმიური არსება გამოჩნდება ხოლმე და მიწიერ წიწილას წააგავს. მისი ხილვის შემდეგ მფლობელი მიეჯაჭვება „უცხოპლანეტელს“, რადგან იგი ვალდებულია მოუაროს მას, რეგულარულად მისცეს საკვები, დაასუფთაოს მისი სადგომი და ამით შეუქმნას ცხოვრების ნორმალური პირობები; წინააღმდეგ შემთხვევაში ვირტუალური აღსაზრდელი შიმშილით ან მოწყენილობისაგან მოკვდება.

ეს სათამაშო პატარა ციფერბლატითაა აღჭურვილი, რისგანაც წარმოდგება მისი სახელი – „ტამაგოჩი“ („ტამაგო“ – კვერცხი და „უოჩ“ – ინგლისური სიტყვა Watch-ის დამახინჯებული ფორმაა) თამაში თითქოს ადვილია, დროულად უნდა დააჭირო ღილაკებს და აღსაზრდელიც გაიზრდება. მაგრამ „აღზრდის პროცესს“ დიდი სირთულეები გააჩნია: საჭიროა რაციონის სწორი შერჩევა, პერიოდულობის დაცვა და ზომიერების გათვალისწინებაც. გარდა ამისა, ამ კოსმიური არსების ენაც უნდა ისწავლო, რათა მან თავი სრულ კომფორტში იგრძნოს.

ათიოდე დღის განმავლობაში „წიწილა“ ზრდასრულ არსებად იქცევა, ბერდება და, რა თქმა უნდა, კვდება კიდეც, ასეთ დროს „ტამაგოჩის“ მფლობელი ახალი სათამაშოს საყიდლად გარბის; უფრო ხშირად კი აღსაზრდელი სიბერემდეც ვერ აღწევს და პატრონი იძულებულია სასწრაფოდ იყიდოს ახალი სათამაშო.

უკანასკნელ წელს ფირმა „ბანდაი“ მილიონი ცალი ტამაგოჩის გამოშვებას აპირებდა, მაგრამ კომერციულმა წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და კომპანია სასწრაფოდ ამონტაჟებს ამ სათამაშოს წარმოებისათვის ახალ ხაზებს.

## SPORT-WORD



**ჰორიზონტალურად:** 1. ქართველი მშვილდოსანი ქალი, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი; 5. სპორტინვენტარის მწარმოებელი ცნობილი ფირმა; 10. თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი ოთხმოციან წლებში; 11. სპორტულ ასპარეზობათა ჩატარების ადგილი; 12. ცნობილი ინგლისელი მოჭადრაკე დიდოსტატი; 13. რა ჰქვია თბილისის „დინამოს“ ყველა დროის საუკეთესო ცენტრალურ მცველს? 15. წარსულის კიეველი ფეხბურთელი; 18. ახლო წარსულის იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 19. ახლო წარსულის ბრაზილიელი ფეხბურთელი; 20. პირადი საქმე; 22. ესპანელი ფეხბურთელი მადრიდის „რეალიდან“; 23. გამარჯვების ქალღმერთი; 24. მადრიდის „ატლეტიკოს“ არგენტინელი ლეგიონერი; 26. დოდო აბაშიძის მიერ განსახიერებული ფოთელი ფეხბურთელი; 28. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში; 30. თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავდამსხმელი და მთავარი მწვრთნელი; 32. უძლიერესი პროფესიონალი ამერიკელი კალათბურთელი; 35. თანამედროვე ხუთჭიდის შემადგენელი ნაწილი; 36. ჟურნალი, რომელიც ყოველწლიურად საუკეთესო საბჭოთა მეკარეს სპეციალურ პრიზს გადასცემდა; 38. 1958 წლის ბრაზილიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი; 39. რა ჰქვია „აიაქსის“ ფეხბურთელს (ვინმე) მუსამპას? 41. ფიდეს ახლანდელი პრეზიდენტის მშობლიური ქალაქი; 43. ბეისბოლის სათამაშო ინვენტარი; 44. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 45. თურქეთის საფეხბურთო კლუბი.

**ვერტიკალურად:** 1. მოსკოვის საფეხბურთო კლუბი; 2. რა ჰქვია ფეხბურთს ამერიკაში? 3. ახლო წარსულის კიევის „დინამოს“ მცველი, სერგეი... 4. საფეხბურთო სამყაროს „ბებერი ქალბატონის“ შემოკლებული სახელი; 6. 1958 წლის ბრაზილიის ნაკრების საუკეთესო ნახევარმცველი; 7. თბილისის „დინამოს“ ხანგრძლივი კარიერის მქონე კალათბურთელი; 8. საჩოგბურთო სამყაროს ყველაზე პრესტიჟული ტურნირის მასპინძელი ქალაქი; 9. თბილისის „დინამოს“ ახლანდელი მცველი; 14. საჭიდაო (და ზოგადად სპორტული) ფანდი ან ხერხი; 15. გრძელ მანძილებზე მორბენალი; 16. თბილისის „ქარიშხალას“ ხელბურთელი, 1976 წლის ოლიმპიური ჩემპიონი; 17. კალოევიც, ცხოვრებოვიც და გუცაევიც; 19. რუსული ფეხბურთის ადმინისტრაციული ლიდერი; 21. ქალაქი, რომლის გუნდი 1981 წელს თბილისის „დინამომ“ თასების თასის ფინალში დაამარცხა; 24. წარსულის პოპულარული რუსი რადიოკომენტატორი, ვადიმ... 25. თანამედროვე ხუთჭიდის (კიდევ ერთი) შემადგენელი ნაწილი; 27. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 29. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო ქვეყანა 31. რა აკლდებათ ხოლმე მოჭადრაკეებს პარტიის ბოლოს? 33. ყვავილი, რომლის სახელობის თასი გაზაფხულობით თამაშდებოდა სსრკ-ს საფეხბურთო სამყაროში; 34. ესპანელთა ნახევრადსპორტული სანახაობა; 37. საქართველოს ერთ-ერთი წარმომადგენელი სსრკ-ს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში; 40. 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი 5000 და 10000 მეტრზე სირბილში; 42. ნიჩბოსანთა შეჯიბრების ხშირი „მასპინძელი“;



## იაპონური სექს კლუბები

ტოკიოში არის ერთი უბანი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „ნაგეკომი ტერა“-ს უწოდებენ, რაც ნიშნავს მიტოვებულთა ტაძარს. მიტოვებით კი აქ გარდაცვლილ მეძავებს ტოვებდნენ. 1958 წელს, როცა პროსტიტუცია აკრძალული იყო, ამ „ტაძარში“ 20 000 ქალი გარდაიცვალა, რომელთაც იქვე მიუჩინეს საერთო სამარე.

დღეს კი ტოკიოში დაახლოებით 120 სექს-კლუბია, რომლებიც თანდათანობით პრესტიჟულ რაიონებში იმკვიდრებენ ადგილს. აქ არის „სიყვარულის ოტელი“, პორნო დისკოთეკა თუ ე.წ. „თურქული აბანოები“, რასაც ადგილობრივნი „ტორუკოს“ უწოდებენ. ერთხელ ასეთი კურიოზი მომხდარა: თურქეთის საელჩოს ერთ-ერთ თანამშრომელს ტაქსის მძღოლისთვის უთხოვია საელჩოში წაყვანა, მას კი „ტორუკოს“ გაგონებაზე დიპლომატი თურქულ აბანოში წაუყვანია, სადაც მას, აბანოს გარდა, ყველაფერი დახვედრია.

უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში ტოკიოს „წითელი ლამპიონების“ (მეძავთა) უბანში თანამედროვე მოთხოვნებით აღჭურვილი „მომსახურების კლუბები“ შეიქმნა. ერთ-ერთ ასეთ კლუბს ჟურნალის რეკლამაში „ოფის-ლედი“ ეწოდა. ამ კლუბში 30 000 იენად ორი საათის განმავლობაში ემსახურებიამ კლიენტს. ამბობენ, რომ მისი კლიენტურა მხოლოდ ინტელექტუალური ფენების წარმომადგენლებისაგან შედგება, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხშირი კრიტიკის საგანი ხდება.

აი, მაგალითი კიდევ ერთი სექს-კლუბის ცხოვრებიდან, რომელსაც „ხუთი კარი“ ჰქვია. აქ მართლაც ხუთი კარია, რომელთაგან პირველი შედის ოთახში, სადაც ჩვეულებრივი ავტომობილი დგას, თუმცა ეს მხოლოდ სუროგატია და განწყობის შესაქმნელადაა გაჩერებული — კლიენტს უნდა შეექმნას ილუზია ქალაქგარეთ გასეირნებისა. მეორე კარი ჩვეულებრივ ვაგონის კუპეში შედის, სადაც მომხიბლავი თანამგზავრები ელიან კლიენტს. მესამე კარი ექიმის მისაღებში შედის, აქ მედიკოსის უნიფორმაში გამოწყობილი ექიმი სთავაზობს თავის „მომსახურებას“ იქ შესულთ. დანარჩენი ორი კარი ასევე ნაირგვარი სექსუალური ფანტაზიით აღსავსე ოთახებში შედის.

ამგვარი კლუბები დღეში 70 პოტენციურ კლიენტს ემსახურება. აქვე არის სარეკლამო ჟურნალები და ტელეფონის ნომრები, სადაც მოთავსებულია ინფორმაცია „რეზერვში“ მყოფი 300 სხვა ქალის შესახებ. ასეთი ჟურნალების გამომცემელთა აზრით, „პროდუქციის გასაღება“ დამოკიდებულია მასში მოხსენიებულ ქალთა რაოდენობაზე.

ამჟამად მრავალ კლუბში უცხოელი ქალბატონები არიან მოწვეულნი. იაპონიის დედაქალაქის ფეშენებელურ რაიონში, რომელსაც სინძიუკი ჰქვია, არის ფართოდ ცნობილი „კოკუსაი დორი“ (საერთაშორისო ქუჩა), სადაც უპირატესად ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან არალეგალურად ჩამოსული მეძავები იყრიან თავს; ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ იაპონიაში ჩამოვიდა, რათა ოჯახს დახმარებოდა. მისი თქმით, კოლუმბიაში მისი ძმა დღეში ორ დოლარად მუშაობს, აქ კი, იაპონიაში, ეს ქალი საღამოს ექვსი საათის შემდეგ ყოველი კლიენტისაგან 20 დოლარს იღებს.

აი, პატარა ამონაწერი კრიმინალური ქრონიკიდან:

იაპონიაში არსებობს ე.წ. სატელეფონო კლუბები, რომლებიც შექმნილია პარტნიორის მოსაძებნად. სწორედ ამ კლუბის საშუალებით სამმა 15 წლის გოგონამ 43 წლის მამაკაცს დაუნიშნეს შეხვედრა, შეჰყვნენ მას სასტუმროში, კაცს სახეში ცრემლდენი გაზი შეასხეს და 120 000 იენი წაართვეს. „ჩვენ ეს ფული გასართობად გვინდოდა“ — განაცხადეს გოგონებმა.

აი, სულ ეს არის.

## ანეკდოტი მოცემულ თემაზე

*ანეკდოტი ძველია, მაგრამ კარგად გამოხატავს იაპონელთა ხასიათს.*

ერთ საბჭოთა მოქალაქეს ჰკითხეს:

– რა განსხვავებაა იაპონურ და საბჭოურ ცხოვრებას შორის?

უპასუხა:

– იაპონელებს როცა თევზი შემოელევათ, ისინი სასწრაფოდ გადიან ზღვაში თევზის დასაჭერად, საბჭოთა კავშირში კი თევზის გამოლევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ იწვევენ პარტიის კრებას.

*ფანტაზიის დიდოსტატები*

## იური ნიკულინი

ნიკულინის კაბინეტში გაისმა ტელეფონის ზარი, მან ყურმილი აიღო და უცნაური ადამიანის ხმა შემოესმა:

– ალო! მე შემიძლია თქვენ სენსაციური ნომერი შემოგთავაზოთ – უთხრა უცნობმა – მე ერთმეტრიან ხანჯალს ვყლაპავ

– ეს ძველი ტრიუკია. – პასუხობს ნიკულინი – ასეთი მყლაპავები ბევრია.

– მერედა, იცით, რომ ჩემი სიმაღლე სულ რაღაც ოთხმოცდაათი სანტიმეტრია!

● ● ●

იური ნიკულინი ცირკის დირექტორთან მივიდა და სამსახური ითხოვა.

– მე უნიკალური ნომერი მაქვს. არენის შუაგულში დებენ არყის გახსნილ ბოთლს, მე ცირკის თაღიდან ვხტები და ბოთლში ვძვრები.

– ეს შეუძლებელია!

– კარგით, გაგიმხელთ საიდუმლოს: ფრენისას ბოთლს რომ ვუახლოვდები, მაყურებლისაგან ჩუმად ჯიბიდან ძაბრს ვიღებ და ბოთლს ვუკეთებ.

ცირკის დირექტორის კაბინეტში ტელეფონის ზარი გაისმა, ნიკულინმა აიღო ყურმილი და მოესმა:

– ალო! ცირკია? – თქვენ მოლაპარაკე ცხენი არ გჭირდებათ?

– არა, არ მჭირდება! – და დებს ყურმილს.

ზარი განმეორდა:

– ალო! ნუთუ თქვენ მოლაპარაკე ცხენები არ გჭირდებათ?!

– არა, არ გვჭირდება – და ყურმილის დადებას აპირებს.

– ალო! არ დადოთ ყურმილი. ძალიან ძნელია ჩემი ჩლიქებით ნომრის აკრეფა.

● ● ●

როცა ნიკულინს ჰკითხეს, თუ რამდენი ფული სჭირდება მას, უპასუხა:

– მე მჭირდება ზუსტად იმდენი ფული, რამდენიც მათზე ფიქრს გადამაჩვევს!

● ● ●

ერთი კაცის დაკრძალვისას ნიკულინმა თქვა:

– ამდენი ქება მისთვის სიცოცხლეში რომ ეთქვათ, ის ჯერ კიდევ დიდხანს იქნებოდა ჩვენს შორის.

# კროს-კუბი

## ზედა წახნაგი

**თარაზულად:** 1. ადამიანის მსგავსი „სიგიჟით“ ცნობილი დროის მონაკვეთი; 6. შვედური წარმოების მსუბუქი ავტომობილი; 9. (მხოლოდ) ზამთრის სატრანსპორტო საშუალება; 10. საზღვაო ოფიცრების სამხედრო ჩინი – ზოგადად; 11. „ქვეყნიერება“ – ძველებური გამოთქმით; 12. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 13. მცენარეთა ერთგვარი „რქა“; 16. სპარსულიდან შემოსული მამაკაცის სახელი; 19. რძეში მოხარშული ცომი; 21. ერთგვარი თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი; 22. პლანეტა მერკურის ძველი სახელი; 23. გვინეის დედაქალაქი; 25. სატრანსპორტო საშუალებათა მწკრივი; 26. იუდაიზმის უზენაესი ღვთაება; 27. ერთი აზიური სახელმწიფოს დედაქალაქი; 30. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი; 33. ვაჟას ერთი პოემის „პერსონაჟი“; 34. უნგრელი კომპოზიტორი; 35. ქართველი – არაქართულად; 36. ინგლისელი ბუნებისმეტყველი; 37. ჩვენებური ცხარე საკმაზი; 38. რუსული ესტრადის მომღერალი ქალი.

**ვერტიკალურად:** 1. ერთგვარი „დაშიფრული“ ანბანის გამომგონებელი; 2. მიწის გადასახადი; 3. ადამიანის საზოგადოებრივი სახე; 4. მახლობელი აღმოსავლეთის ყველაზე პოპულარული მწვერვალი; 5. იტალიური ზღაპრების პერსონაჟი; 6. თანამედროვე ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი; 7. მსოფლიო კინოსაოპერო ხელოვნების სამოციანი წწ. ვარსკვლავი; 8. სახელმწიფოს შემადგენელი „უჯრედი“; 14. ქალაქი რუმინეთში; 15. მიხეილ ჯავახიშვილის ერთი ვრცელი მოთხრობის პერსონაჟი; 17. შუა საუკუნეების ესპანელი მხატვარი; 18. თანამედროვე არგენტინელი ფეხბურთელი; 19. სიდინჯისაგან შორს მდგომი სუბიექტი; 20. დაბალი დიპლომატური ჩინი; 24. ლათინურ ამერიკაში მობინადრე მტაცებელი; 25. ჩვენი კონტინენტი; 27. აღმოსავლური ტკბილეული; 28. ბაღჩეული კულტურა; 29. ეგვიპტური მითოლოგიის ნაყოფიერებისა და ქალურობის ღვთაება; 30. ჩვენი ტელევიზიის სამედიცინო გადაცემა; 31. ნაყოფიერებას მოკლებული ცხოველი; 32. თანამედროვე ქართული პოლიტიკის ყველაზე პოპულარული ქალის სახელი.

# ТАМ, ЗА ГОРИЗОНТОМ

*— Так жена надоела, - жалуется мужик. — Пилит, пилит безудержно. Ужас как устал от нее!*

*— Вам нужно поехать с ней к морю отдохнуть, покупаться, - советует врач.*

*— Нет, доктор, это не поможет: она прекрасно плавает!*

---

*Встретились две соседки.*

*— Манька, как жизнь?*

*— Что-то у меня последнее время сердце побаливает и давление поднялось, и ноги болят.*

*— Что ты говоришь? Я вчера видела, как от тебя Васька выходил, позавчера — Петька, третьего дня еще какой-то здоровый мужик.*

*— Ой, не говори! Один орган здоровый и то все завидуют.*

---

*Студентка прошептала священнику на исповеди:*

*— Я бы с радостью жила праведной жизнью, святой отец, но где мне взять для этого столько денег?*

---

*– Застукал ли тебя в постели муж хоть раз с незнакомым мужчиной?*

*– Нет, всегда только с приятелями и знакомыми.*

---

*Аптекарь вводит в курс дела молодого практиканта:*

*– А из этой бутылки мы наливаем, когда рецепт совсем неразборчивый.*



## მარცხენა წახნაგი

**თარაზულად:** 1. რომელი ხილი „არ იცის“ ვირმა? 6. ქიმიური სერვიზის ნაწილი; 9. ოპერის ლიტერატურული ტექსტი; 10. პოპულარული ქართული გაზეთი; 11. ქალაქი ესტონეთში; 12. წყლის გამაცხელებელი დანადგარი; 13. რუსული ეპოსის გმირი; 16. გამოუცდელი კაცი; 19. პატარძლის მაყარი ქალი; 21. ალყაში მოქცევა; 22. ქალაქი ჩრდ. ოსეთში; 23. მუქი ნაცრისფერი, თუნდაც რუხი; 25. ზომა-წონის ნიმუში; 26. ქალაქი იაპონიაში; 27. მდინარე ლიტვასა და ბელორუსიაში; 30. ერთი მექსიკური ტელესერიალის მთავარი გმირი; 33. მეფეთა თავსამკაული; 34. რელიგიური დაჯგუფება; 35. მომკილი პურის ღეროები; 36. ქალქი ჩინეთში; 37. ნაზი და სათუთი; 38. საბანკო დოკუმენტი.

**ვერტიკალურად:** 1. „გრაფიკული ნიშანი“ ჯოკერში; 2. მუსიკალური ტემპის გამომხატველი ცნება; 3. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 4. ლითონისენიანი შესაკრავი ქამრისათვის; 5. მითიური, არარეალური ამბავი; 6. ქალაქი თურქეთში; 7. თავხედი და უზრდელი გოგონა (ძველი თბილისური გამოთქმა); 8. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, ამბიციური ადამიანი; 14. მეთვრამეტე საუკუნის იტალიელი დრამატურგი; 15. ქართული კინოფილმი მეგრელ „ბირთვისმკვრელთა“ შესახებ; 17. წარჩინებულობის ატრიბუტი; 18. უნგრეთის ფულის ერთეული; 19. ბალახით დაფარული ფართობი; 20. საზოგადოების რჩეული ნაწილი; 24. ქალაქი ირანში; 25. სალოცავი; 27. მდინარე პოლონეთში; 28. ლიტერატურული ნაწარმოები; 29. ფრანგი კომპოზიტორი; 30. ავადმყოფური ჩვევა; 31. გეომეტრიული ფიგურა; 32. თბილისის დაარსების „ჰიგიენური“ წინაპირობა.

## მარჯვენა წახნაგი

**თარაზულად:** 1. მადლიერების ნიშანი ზემდგომი ორგანოების მხრივ; 6. ვულკანური ნივთიერება; 9. ყოფ. იუგოსლავიის საფეხბურთო გუნდი; 10. აღმოსავლური სასულე ინსტრუმენტი; 11. ადამიანის ყელის შემადგენელი ნაწილი; 12. ხმელთაშუა ზღვის საკურორტო სანაპირო ზოლი საფრანგეთ-იტალიაში; 13. ვაჭრობისა და თავშეყრის ადგილი ძველ საბერძნეთში; 16. ტარიელ–ავთანდილების საბრძოლო-სანადირო საშუალება; 19. სოფელი კასპის რაიონში; 21. ესპანელ და პორტუგალიელ მეფეთა მემკვიდრე; 22. სამართალდამცავი პირი; 23. შინაურის გამგები; 25. წერის უნარის დაქვეითება; 26. „სახელის“ გამომხატველი ბერძნული წინსართი; 27. ვალში დატოვებული ნივთი; 30. რა შეიძლება წინ უსწრებდეს ერთ-ერთ გვინეას? 33. ლაშა თაბუკაშვილის მოთხრობა უსინათლო ბიჭზე; 34. საქონელზე დაკრული ბეჭედი ან ნიშანი; 35. ახლო წარსულის იტალიელი მეკარე; 36. ავტორი რომანისა „კრაზანა“; 37. ვაჟასეული „მასპინძლის“ ცოლი; 38. ერთ-ერთი ჩვენი კურაპალატი.

**ვერტიკალურად:** 1. ხარკის სახეობა არაბთა ბატონობისას; 2. ნელი ტემპის მანიშნებელი ცნება მუსიკაში; 3. რომან „ქარწაღებულნის“ მთავარი პერსონაჟის გვარი; 4. ჩარლზ დიკენსის მიერ აღწერილი კლუბის სახელი; 5. საგამოფენო–საცავი დაწესებულება; 6. რა ერქვა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორ ზიჩის? 7. ოთარ თაქთაქიშვილის ბალეტი; 8. ძვირფასი ქვა არაძვირფასი ხმოვანებით; 14. ქართული კინოფილმი მეშახტეების შესახებ; 15. ფილმი მიგელე პლაჩიდოს მონაწილეობით; 17. ქალაქი სომხეთში; 18. მუსიკის თანხლებით შესრულებული ვარჯიში; 19. შექსპირის ტრაგედია; 20. მეზღვაური ბიჭი; 24. მოძრაობის უნარის შენარჩუნების ფიზიკური თვისება; 25. სამოციანი წწ. ესპანელი ფეხბურთელი; 27. მერი პოპინსის პროფესია; 28. სცენის გასანათებელი საშუალება; 29. ქალაქი კანადაში; 30. ერთი არაპირდაპირი წინაპარი; 31. იაპონური ვიდეო-აუდიო ფირმა; 32. მზის სისტემის პლანეტა.

---

*ერთხელ (ჩვენს ნაცნობ) ფსიქიატრს პაციენტი ესტუმრა და ერთგვარი რიხით განუცხადა:*

*— თქვენ იცით, ექიმო — ხანდახან მეჩვენება, რომ ცხენი ვარ!*

*— ეს ძალიან კარგი, მაგრამ თქვენ მაინც ხანგრძლივი მკურნალობა დაგჭირდებათ, რაც... დიდი ფული ღირს!*

*— არა უშავს, მომავალ კვირას დოღი იმართება, სადაც გამარჯვების ნაღდი შანსი მაქვს!*

# სკანდინავიური კროსვორდი



# კროსმაისტერი

# დიოგენეს კასრი

## თარაზულად:

1. ჩვენი კროსვორდის „მთავარი პერსონაჟი“; 6. რა ერქვა მანონ ლესკოს გაწამებულ მიჯნურს? 12. ადგილი, სადაც გაბრაზებული ქალი თავის საწყევარს აგზავნის ხოლმე; 13. ქართული ფოლკლორული ბაღის პატრონი; 14. რუსეთ-ესტონეთის სადავო ქალაქი; 15. ქართული ლიტერატურის „რუსი“ კლასიკოსი; 16. პიესაში ჩართული ავტორისეული მინიშნება; 17. ზუსტი ხელსაწყოების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. დასავლელქართველთა „საყვარელი“ ყურძნის ჯიში; 21. (მუსიე) გოტიე, ფრანგი პოეტი და ლიტერატორი; 22. თანამედროვე სამყაროს ერთი აფრიკელი დიქტატორი (ჩუმად, ჩუმად, არვინ გაგვიგოს!); 25. ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის „ოსებით დასახლებული“ ქვეყანა; 26. იაპონიის ყველაზე დიდი კუნძული; 27. მომიტინგეთა ანტიკომუნისტური ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი; 30. მსოფლიო მუსიკის გენია; 31. რა არის ორთაჭალაში? 33. ლურჯი მწვანილი; 34. სამართლის კანონთა კრებული; 35. თბილისის ერთ-ერთი უბნის „შინაური“ სახელი; 36. ერთი სევდიანი მეგრული სიმღერის პერსონაჟი ქალი; 37. „წითელის“ და „თეთრის“ საერთო შვილი; 40. ძვირფასი ლითონი; 41. რა აქვს მგელს ქართულ დეტექტიურ ლიტერატურაში? 44. იტალიელი ფეხბურთელი ძმების (რა თქმა უნდა, საერთო) გვარი; 45. ყველაზე კარგი ოხუნჯი გურულ ლიტერატორთა შორის; 46. დღე-ღამის საამო მონაკვეთი; 49. დროებითი მეფე; 52. 60-იანი წლების უძლიერესი ქართველი წყალბურთელი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი; 53. ქალაქი სამხრეთ აფრიკაში; 54. ხმელეთის სმერჩის სახელწოდება აშშ-ში; 55. ქალაქი ნიგერიაში (რუკები ჩქარა!); 59. „Boney M“-ის სამშობლოს დედაქალაქი; 60. თუთიყუში, რომელსაც „ორი კაკა უყვარს“; 63. ქიმიური რეაქციების დამჩქარებელი ორგანული ნივთიერება ცოცხალ უჯრედში; 64. მათემატიკური ჩაუკეტავი მრუდი; 65. როგორი არის თითოეული მეზურნე მერაბ ელიოზიშვილის ცნობილ პიესაში? 66. გვარი, რომლის ერთმა წარმომადგენელმა („საბუდარელ ჭაბუკში“) გოგიტა მოატყუა, მეორემ კი დაასაქმა; 67. „ნიკოტინის სამშობლოდ“ წასული რუსი მოგზაური;





## შვეულად:

1. სახელმწიფო აფრიკაში; 2. ცოცხალი არსების ორეულის „შემქმნელი“; 3. დაქირავებული შრომის სახესხვაობა; 4. კინოფილმი ლევან აბაშიძის მონაწილეობით; 5. პროვინციელი ადამიანის დამცინავი მეტსახელი; 6. ყველაზე „საყვარელი“ დღე; 7. სიგრძის ძველებური რუსული საზომი, უდრის 4,4 სანტიმეტრს; 8. ვინ იტყოდა ასე: „მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს/და სიყვარულს ათაბაგის ქალისას:/ძუძუები ოქროს კალმახებია,/წამწამები აქვს თავთუხის ყანისა“? 9. პოპულარული ქართული კონიაკის მწარმოებელი სოფელი; 10. საწინააღმდეგო იერის მქონე სუბიექტი; 11. კაზინო ძველ საქართველოში; 19. ჩვენი კროსვორდის მეორე მთავარი პერსონაჟი; 20. ვინ არის ნაგულისხმევი ამ სტრიქონში – „ვის ჰშვენის, ლომსა, ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა“? 22. ტბიანი სოფელი თბილისის სამხრეთით; 23. ევგენი ლეონოვის ერთი კინო-სამეცნიერო წოდება; 24. გადახურული სატვირთო ოთხთვალა საზიდარი; 27. პატარა სატვირთო-სამგზავრო ავტომობილი; 28. პატარა გოგონების მოსაფერებელი სიტყვა; 29. ორთაბრძოლის წარმართვის მეთოდიკა; 31. როგორი შეიძლება იყოს კლდე, ან ფერდობი? 32. ხარკი, გადასახადი არაბების ბატონობისას; 37. განუწყვეტელი ქმედების აღმნიშვნელი სიტყვა; 38. კვერცხის გულით დამზადებული საღებავი; 39. ვილნიუსის საკალათბურთო გუნდი; 41. თავსაბურავის სახესხვაობა; 42. ოლქი იტალიაში; 43. მრავალპლანიანი მუსიკალური ნაწარმოები; 46. (კვლავ იაპონიას ვესტუმროთ) „ამომავალი მზის ქვეყნის“ ერთ-ერთი ძირითადი კუნძული; 47. ზოდიაქოს ნიშანი; 48. დაავადების კერის გადატანა; 50. ალპების დამპყრობი დიდი რუსი მხედართმთავარი; 51. რუბიკ ხაჩიკიანის მშობლიური ქალაქი; 56. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, ერთ-ერთი არველაძის „ნავთსაყუდელი“; 57. ბატონი შენგელაია, შესანიშნავი ქართველი პროზაიკოსი; 58. დიდებული ქართველი მსახიობი, ბატონი ვახტანგი, კომედიური როლების დიდოსტატი; 60. რა არის ეს ცხოვრება კარიერიზმით დაავადებული ადამიანისათვის? 61. „თავისუფლების კუნძული“, როგორც ეს კომუნისტებს ეგონათ; 62. XIX საუკუნის ფრანგი მხატვარი-გრაფიკოსი, მუსიე გუსტავ;



# "ანეკდოტური" კროსვორდი

## თარაზულად:

4. გახსოვთ ის წერილი, კახელმა რომ გამოგზავნა სახლში და გივი ბერიკაშვილი სცენიდან რომ კითხულობდა („გამარჯობა დედი, გამარჯობა მამი, გამარჯობა ბაბო, გამარჯობა პაპი...“); ჰოდა, რა ჰქვია წერილს ბერძნულად; 9. ბრეჟნევის საანეკდოტო კოლეგა აშშ-ს 70-იანი წლების თეთრი სახლიდან; 10. ამბობენ. რომ ბიბლიური კიდობანი ყველა ფრინველ-ცხოველს იტევდა... (ზოგს ეს ანეკდოტი ჰგონია); ჰოდა, ვინ მართავდა იმ კიდობანს?

**12. არსებობს ასეთი ანეკდოტი:** „მიულერმა შტირლიცი დაიბარა და ეუბნება: – იცით, მეგობარო, მე თქვენთვის ორი ამბავი გამაჩნია – ერთი ცუდი, მეორე კი ძალიან ცუდი. დავიწყოთ ცუდით : რუსმა „პიანისტკამ“ ყველაფერი აღიარა. – ძალიან ცუდი რაღაა? – ეკითხება შტირლიცი – მან ეს ჩემთან კი არა, თქვენს ცოლთან აღიარა!“. (რა წოდების იყო შტირლიცი?)



15. ცხოველური ანეკდოტების ბრიყვი პერსონაჟი;

**16. ანეკდოტური დიალოგი:**

– „ჭიჭიკია, გაათხოვე გოგო?“
– „კი, გავათხოვე“
– „ვის გააყოლე?
– „ბიჭიკიას“
– „არ ჯობდა რიონისთვის გაგეყოლებინა, ფოთს მაინც ნახავდა!“ (რაგვარი ჰაერი მიჰყვება ქუთაისიდან ფოთამდე რიონს?)

17. 80-იანი წლების საბჭოური ანეკდოტების გმირი; 19. ქართული ანეკდოტების ყველაზე დინჯი პერსონაჟების მშობლიური ქალაქი; 23. ოსტაპ ბენდერს სულ რიო-დე-ჟანეირო და ბუენოს-აირესი ესიზმრებოდა (გაიხსენეთ ამ ქალაქებთან დაკავშირებული ერთ-ერთი ქვეყანა); 24. ნოდარ დუმბაძის ენამოსწრებული პერსონაჟი; 26. ანეკდოტებში გადასული ჩაუშესკუს „მემკვიდრის“ სახელი; 27. (ჩვენთვის და არა მხოლოდ ჩვენთვის) „ანეკდოტური სიტუაცია: იქ, სადაც 26 კომუნისტის ოთხი წარმომადგენელი იდგა, ახლა ერთი გერმანული ფირმის სარეკლამო ქალბატონი იღიმება“ (რა ფირმაა ეს?) 28. რა ჰქვია ო'ნილს, ანეკდოტურად მაღალ კალათბურთელს?

**31. არსებობს ასეთი ანეკდოტი:** „ერთი მხატვრის ცოლმა განცხადება გამოაქვეყნა ბინის გაქირავების თაობაზე. მოვიდა კლიენტი. ქალმა ორი ოთახი აჩვენა – წინა და უკანა – და უთხრა უკანა ოთახი ქირავდებაო. კლიენტმა იკითხა წინას ხომ არ მომაქირავებდითო? ქალმა უპასუხა წინაში ჩემი ქმარი მუშაობსო. (რა უნდა გადაეხადა კლიენტს ქალისათვის?) 32. რა არის ბედის მონახევრე, თუნდაც ანეკდოტში? 34. სკამით გაამაყებული კარიერისტი, ანუ ვინ? 35. კაცი, რომლის (კინო) მარანში ქურდები შეიპარნენ; 37. მოლა ნასრედინის სამოღვაწეო კონტინენტი; 40. ერთმა რევოლუციონერმა მხედართმთავარმა თქვა: „აი, გაიმარჯვებს დიდი ოქტომბრის რევოლუცია, ავაშენებთ კონსერვატორიას და კონსერვებს გამოვუშვებთო“ (ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?) 41. ქვეყანა, სადაც ანეკდოტები იეროგლიფებით იწერება; 42. სექსუალური ანეკდოტების აუცილებელი პერსონაჟი;



## შვეულად:

1. ძველთბილისური ანეკდოტების პერსონაჟი; 2. ხარბი ადამიანი, ანუ როგორი? 3. თარ №40-ის მეტყვიამფრქვევე ქალი; 5. საბჭოური ეპოქის უკანასკნელი „ანეკდოტი“; 6. საბაჟო პუნქტი, სადაც ბევრი ანეკდოტი იქმნება; 7. ანეკდოტებში გადასული კომუნისტური ბომონი; 8. ვინ (მოთხ.ბრ.) შექმნა ანეკდოტური სიტუაცია, როცა სათამაშოების ფაბრიკის დირექტორი კონსერვატორიის პროფესორი ეგონათ? 11. ანეკდოტის „კოლეგა“; 13. ბრეჟნევის კიდევ ერთი ანეკდოტური კოლეგა აშშ-დან; 14. ვინ ხდება ხოლმე ანეკდოტების გმირი ქალაქში ჩამოსვლისას? 18. ძალზედ ბევრი ანეკდოტი არსებობს ოსზე, როგორ მოიხსენიება ოსი მოდერნიზებულად? 20. ორსახოვანი რომაული ღვთაების დროის მონაკვეთი; 21. ბულბული რომ იყო (შენ!), რა უნდა უქნა ვარდს? 22. გაიხსენეთ მაყვალას პროფესია ანეკდოტიზებური „კახური“ ფილმიდან;

**25. არსებობს ასეთი ანეკდოტი:** – „რით ცხოვრობ?“ – ეკითხება ერთი სტუდენტი მეორეს. – „ვწერ“. – „ლექსებს წერ?“. – „არა, წერილებს ვწერ მშობლებს, რომ ფული გამომიგზავნონ!“ (რა „პროცესი“ უკავშირდება სტუდენტს?);

29. სასაფლაო შავი იუმორის ხშირი თემაა; რომელ სასაფლაოს გაიხსენებდით უცებ? (მიც.ბრ.); 30. რომელ მდინარეზე მდებარეობს „გორის პლაჟი“? 33. თანამედროვე რუსული ანეკდოტების ციმბირელი პერსონაჟი; 36. „ბიჭო“-ს კახური ვარიანტი; 38. ანეკდოტის (თითქმის) კოლეგა ლიტერატურიდან; 39. სავაჭრო-სამრეწველო კომპანია, რომლის გაქცევა მწარე ანეკდოტებად გადაიზარდა ქალაქში;

## გასული ნომრის პასუხები

(ილუსტრილებული კროსვორდი) *თარაზულად:* 7. ლევისი; 8. აბორტი; 10. სიტი; 11. ლიხი; 13. ანტრახტი; 14. ვაჟა; 15. ალვა; 17. ყარამანიანი; 20. ქშენა; 21. აღაპი; 22. ცირკი; 24. სირია; 28. ონისე; 30. სქესი; 33. კონკა; 34. სკოტი; 35. პარტიზანები; 39. იური; 40. ნიჭი; 41. ვალენტინა; 42. ორშა; 44. ლესი; 46. ფაშატი; 47. ანანდი. *შვეულად:* 1. ადლი; 2. აფთიაქარი; 3. ასპინძა; 4. იბრუხტი; 5. ბრილიანტი; 6. ძირს; 9. ბურდა; 10. საჟენი; 12. იალალი; 14. ვაშინგტონი; 16. ამპერმეტრი; 18. მაიონეზი; 19. ნასტასია; 22. ციცო; 23. რახი; 25. რიდე; 26. არხი; 27. სკრიპი; 29. ნიალვარში; 31. საბრალონი; 32. სკვითი; 36. ტალანტი; 37. ზონდი; 38. ნეილონი; 43. რიფი; 45. სოია.

(„ბუდეებიანი“ კროსვორდი) *თარაზულად:* 1. მაფია; 6. ჯოკონდა; 12. პანლური; 13. ლაურა; 14. რურკი; 15. რეაქცია; 16. სტატუსი; 17. გორიო; 18. ათენი; 21. თიაქარი; 22. ჯალათი; 25. რიოში; 26. ფიურზა; 27. ხალისი; 30. რეგალია; 31. ფიდე; 33. სიცილი; 34. რაზდანი; 35. მთავარი; 36. თავი; 37. მალაგა; 40. ხანძარი; 41. ზიზილა; 44. ლირა; 45. ნესტარი; 46. ვილისი; 49. კომედია; 52. ესენინი; 53. სამარანჩი; 54. ნიაგარა; 55. ალიბაბა; 59. კარტოთეკა; 60. ბარაბა; 63. ბელფასტი; 64. ქინაქინა; 65. ზემელი; 66. ბალავაძე. 67. ხიზილალა. *შვეულად:* 1. მარკა; 2. ფორტე; 3. აპისი; 4. ანჯამა; 5. ხუხულა; 6. ჯირითი; 7. კრაზანა; 8. ნაცვალი; 9. ალავერდი; 10. პატრიოტი; 11. კატოვიცე; 19. ორითინა; 20. ნარჩიტა; 22. ჯარიმა; 23. ლევრანი; 24. თალგამი; 27. ხარიხა; 28. ლომბარდი; 29. სკალარი; 31. ფითილი; 32. დავარი; 37. მანდელა; 38. ლასკერი; 39. გრაფიკა; 41. ზიკინა; 42. ზამბარა; 43. ლუდხანა; 46. ვასაკა; 47. ლამარტინი; 48. სარკოფაგი; 50. ანქელიკა; 51. ჭითანავა; 56. ლიეპა; 57. ბაფთა; 58. ბასტა; 60. ბიზე; 61. რომი; 62. ბალი.

(ციტატებიანი კროსვორდი) *თარაზულად:* 4. ოდეს; 6. ცამეტი; 11. ებატონობ; 13. იდარა; 14. აკამკამებს; 15. ისადილებს; 16. ძლაბი; 18. ამა; 20. ლევ; 24. თბილისო; 25. მოჩქარეს; 26. შეყვარებული; 28. იამა; 30. რეალიზმის; 32. ტიტინა; 35. ტაკიმასხარა; 36. არ; 37. თვალს; 39. ტურფა; 40. სულიკო; 42. თეთრი; 43. სმაჭამა; 47. ულევი; 49. გასმანი; 50. არარატი; 52. ვინ; 54. ოიმიაკონი; 56. ოდესა; 57. ასლამაზი; 58. შეშა; 59. აშენდებოდა. *შვეულად:* 1. უბესა; 2. ატყდა; 3. ძნელი; 4. ობობებს; 5. ენა; 6. ცეკვა; 7. მამია; 8. ტბილია; 9. გაზაფხული; 10. გამირბიხარ; 12. ვანოსია; 16. ძერები; 17. ალვა; 19. მღერის; 21. იმერეთის; 22. მჩხავანა; 23. ნავი; 24. თერმოსტატი; 27. ველასკესი; 28. ისტორიული; 29. მაკრატელი; 31. ამას; 32. ტარო; 33. ტიტები; 34. ნატრული; 38. სია; 41. ლეგენდა; 44. მირბის; 45. ჭორს; 46. ლანდად; 48. ისკრა; 51. ტაფა; 52. ვაზო; 53. ნონა; 54. ორი; 55. მაშ.

(იალქანი) *თარაზულად:* 1. ბრავო; 6. კოლომბო; 12. ტორონტო; 13. სკორე; 14. კლიტე; 15. რანგუნი; 16. ლისტევა. 17. რაბლე; 18. ელისო; 21. დრუნაჟი; 22. ფაზიკა; 25. სპილო; 26. აზარტი; 27. ფინიში. 30. ცემენტი; 31. ლიხი; 33. ანკარა; 34. რევერსი; 35. რვაფეხა; 36. მოლა; 37. ბიკინი; 40. ლოცმანი; 41. მისაკი; 44. ტაფა; 45. თალგამი; 46. შამილი; 49. ტორტილა; 52. ნუგზარი; 53. რომანისტი; 54. ჩხავერი; 55. ალაყაფი; 59. ფორთოხალი; 60. ქიზიყი; 63. არსენალი; 64. ლაშარელა; 65. მილერი. 66. მარიფათი; 67. მისისიპი. *შვეულად:* 1. ბუკლე; 2. ანისი; 3. ოტელო; 4. კრისტი; 5. ინტერი; 6. კორიდა; 7. ლენტეხი; 8. მუნაფი; 9. ოსირისი; 10. კომბაინი; 11. ფელეტონი; 19. ლომბენი; 20. სერიალი; 22. ფიცარი; 23. ზამზახი. 24. კანბერა; 27. ფირალი; 28. ნოვაცია; 29. შარიათი; 31. ლიმიტი; 32. ხალიფა; 37. ბეთანია; 38. კოლეგია; 39. ნიაგარა; 41. მიტიჩი; 42. ხორბალი; 43. კრიკეტი; 46. შარიფი; 47. მემორიალი; 48. ლენქორანი; 50. ასპარეზი; 51. მიჩიგანი; 56. ლურჯა; 57. ყველი; 58. ფრაზა; 60. ქიში; 61. ზილი; 62. ყური.

(ანეკდოტური კროსვორდი) *თარაზულად:* 3. ჯანჯალი; 9. შაქრო; 10. კობრა; 11. დინამო; 12. ქანქარა; 13. რიყე; 14. ლეოპარდი; 15. სოკოები; 17. მის; 19. მთიელი; 20. ქაფი; 22. პლაჟზე; 23. ვირი; 26. რახი; 27. ტრადიცია; 28. ითმინა; 29. ისანში; 30. ლოთი; 31. კუკულა; 32. ასიანი. *შვეულად:* 1. ყაყაჩო; 2. ტრაქტორი; 4. აბდალი; 5. ჯონჯოლი; 6. ლამპას; 7. ჭოგრიტი; 8. ბრიყვული; 15. საქართველო; 16. ბიბლიოთეკა; 17. მუჭუჭი; 18. სპექტაკლი; 19. მკვდარი; 21. ფეხბურთი; 24. რეივანი; 25. სტალინი;

ი/ს „ფანტაზია“
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№ 7/1-1811 (15.07.1996)
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები